



4590/3-81/22 2 24052022

4590/3-81/22

24-05-2022

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს,

ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს

ბატონო გრიგოლ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

ბოლო სამი თვის განმავლობაში რეგიონში შექმნილი საგარეო პოლიტიკური ვითარების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველო არ იქცეს რუსეთის მიერ დასავლური სანქციებისათვის გვერდის ავლის გზად.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია:

1. 2022 წლის 24 თებერვლიდან დღემდე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში კონკრეტულად რა ღონისძიებები გატარდა აღნიშნული მიმართულებით?
2. აღნიშნულ პერიოდში სანქციებისათვის თავის არიდების მიზნით საქართველოს გამოყენების რამდენი მცდელობა გამოვლინდა და აღიკვეთა?
3. რა ფორმატში ახდენთ კოორდინაციას სხვა პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებთან ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად? რომელი სახელმწიფო უწყებები არიან ჩართული აღნიშნულ კოორდინირებულ მუშაობაში?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



4591/3-81/22 2 24052022



4591/3-81/22

24-05-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით:

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმატში ახდენთ კოორდინაციას სხვა პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებთან იმისათვის, რომ საქართველო არ იქცეს რუსეთისათვის დასავლური სანქციების გვერდის ავლის გზად? რომელი სახელმწიფო უწყებები არიან ჩართული აღნიშნულ კოორდინირებულ მუშაობაში?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



4589/3-81/22 2 24052022

4589/3-81/22

24-05-2022

საქართველოს ფინანსთა მინისტრს,

ბატონ ლაშა ხუციშვილს

ბატონო ლაშა,

მადლობას გიხდით ჩემს #3362/3-81/22 და #3357/3-81/22 სადეპუტატო კითხვებზე გაცემული პასუხებისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, დამატებით მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით:

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმატში ახდენთ კოორდინაციას სხვა პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებთან იმისათვის, რომ საქართველო არ იქცეს რუსეთისათვის დასავლური სანქციების გვერდის ავლის გზად? რომელი სახელმწიფო უწყებები არიან ჩართული აღნიშნულ კოორდინირებულ მუშაობაში?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი